საქართველოს პირველი გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში
უნივერსიტეტებს შორის

2025 წლის 24 -25 მაისი, ქ. თბილისი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. **ორგანიზატორი:**
   - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
   - საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია;

2. **მიზანი და ამოცანები:**
   - საქართველოს უნივერსიტეტებს შორის 2025 წლის ჩემპიონის გამოვლენა;
   - საქართველოში საუნივერსიტეტო ჭადრაკის შემდგომი პოპულარიზაცია;

3. **ჩატარების ვადები და ადგილი:**
   - ჩემპიონატი გაიმართება 2025 წლის 24 - 25 მაის;
     მისამართი: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქ. 12. სასტუმრო „მაქმანი“;

4. **სისტემა, დროის კონტროლი და კვალიფიკაცია:**
   - ჩემპიონატი ჩატარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 9 ტურად;
   - დროის კონტროლი: ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 15 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე 3 წამის დამატებით (პირველი სვლიდან დაწყებული);
   - ჩემპიონატში ფიდეს რეიტინგი არ დაითვლება.

5. **მონაწილეობის პირობები:**
   - ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების გუნდებს;
   - ყველა მოჭადრაკე უნდა იყოს ჩემპიონატში მონაწილე უნივერსიტეტის სტუდენტი ან მოქმედი თანამშრომელი;
   - თითოეული გუნდი შედგება ოთხი ძირითადი (I, II, III, IV დაფა) და ერთი სათადარიგო მოჭადრაკისგან (სათადარიგო მოჭადრაკის ყოლა სავალდებულო არ არის);
   - გუნდის სათადარიგო მოჭადრაკით ჩანაცვლება შესაძლებელია მომდევნო ტურის დაწყებამდე 10 წუთით ადრე. თუ გუნდი წერილობით განაცხადს ტურის დაწყებამდე 10 წუთით ადრე არ წარმოადგენს, ის მომდევნო ტურს ითამაშებს იმ შემადგენლობით, რომელი შემადგენლობითაც წინა ტური ითამაშა;
   - სათადარიგო მოჭადრაკის ჩანაცვლების შემთხვევაში მან უნდა ითამაშოს მე-4 დაფაზე, დანარჩენი მოჭადრაკეები გადაიწევენ ერთი დაფით წინ;
   - გუნდის წევრი უნივერსიტეტის მოქმედ თანამშრომლად ითვლება თუ მას ჩემპიონატამდე მინიმუმ ბოლო 5 თვის განმავლობაში ერიცხებოდა საბანკო ანგარიშზე ხელფასი/ჰონორარი, ან ის არის ამ უნივერსიტეტის წილის მფლობელი.

საორგანიზაციო კომიტეტს უფლება აქვს ამის დამადასტურებელი დამატებითი საბუთი მოითხოვოს;

6. **განრიგი:**

თარიღი	**დრო**	**ღონისძიება**
24 მაისი შაბათი	14:00	გუნდების რეგისტრაცია
	14:30	კენჭისყრა
	14:30	ჩემპიონატის გახსნა
	15:00	I ტური
	16:00	II ტური
	17:00	III ტური
	18:00	IV ტური
	19:00	V ტური
25 მაისი კვირა	14:00	VI ტური
	15:00	VII ტური
	16:00	VIII ტური
	17:00	IX ტური
	18:00	დაჯილდოება, ჩემპიონატის საზეიმო დახურვა

7. **რეგისტრაცია და სატურნირო შენატანი:**

- გუნდების წინასწარი რეგისტრაცია დასრულდება **2025 წლის 16 მაის 24:00 საათზე**;
- რეგისტრაციისათვის უნივერსიტეტებმა უნდა შეავსონ სარეგისტრაციო ფორმა ლინკზე https://form.jotform.com/250782335157459 ან ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის ელ-ფოსტაზე, chess@sportuni.ge გამოაგზავნონ:
  - ჩემპიონატში მონაწილეობის განაცხადი, სადაც აღნიშნული იქნება:
  - უნივერსიტეტის სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, გუნდის ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია;
  - გუნდის დასახელება, გუნდის თითოეული წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ვინ რომელ დაფაზე ითამაშებს (არ შეიცვლება მთელი ჩემპიონატის მანძილზე), გუნდის კაპიტნის საკონტაქტო ინფორმაცია;

- უნივერსიტეტის ლოგო;
- სატურნირო შესატანის გადარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის ასლი;

- გუნდის რეგისტრაცია მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სატურნირო შესატანი ჩაირიცხება ორგანიზატორის საბანკო ანგარიშზე;
- თითოეულ გუნდზე სატურნირო შესატანი შეადგენს 500 (ხუთას) ლარს. ამ თანხაში შედის: რეგისტრაცია, ჩემპიონატში გუნდის მონაწილეობა, სათამაშო დარბაზში ყავაზე შესვენებები, საპრიზო ფონდი;
- სატურნირო შესატანის გადახდა მოხდება საბანკო გადარიცხვის მეშვეობით;
- სს „თიბისი“, ბანკი კოდი TBCBGE22
  მიმღების ანგარიში: GE62TB7983836020100005 GEL
  მიმღების დასახელება - სპორტუნი

8. საპრიზო ფონდი და დაჯილდოება:

- ჩემპიონატის საპრიზო ფონდი შეადგენს სატურნირო შესატანებიდან შემოსული თანხის 50%-ს, რომელიც გამარჯვებულებზე შემდეგნაირად განაწილდება:
  I ადგილი - საპრიზო ფონდის 50% ;
  II ადგილი - საპრიზო ფონდის 35% ;
  III ადგილი - საპრიზო ფონდის 15% .
- პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული გუნდები, დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის თასებით, მედლებითა და დიპლომებით;
- ინდივიდუალურ დაფებზე პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით;
- პრიზების მისაღებად სავალდებულოა დაჯილდოების ცერემონიალზე დასწრება.

9. გამარჯვებულების გამოვლენა:

- გამარჯვებული გუნდები გამოვლინდებიან ქულათა რაოდენობის მიხედვით: მატჩის მოგება - 2 ქულით, ფრე - 1, წაგება - 0;
- თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:
  ა) – გუნდის მიერ დაფებზე მოპოვებული ქულათა საერთო ჯამის მიხედვით;
  ბ) – პირადი შეხვედრით;
  გ) - მეტი მოგებული მატჩის მიხედვით;
  დ) - I, II, III და IV დაფების შედეგების მიხედვით.

10. განთავსება:

- მონაწილე გუნდის წევრების ცხოვრების, კვების და გზის თანხებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

11. ჩაცმულობის კოდექსი (“Dress Code”):

- გუნდის თითოეულ წევრს უნდა ეცვას მაისური მისი სასწავლებლის ლოგოთი და/ან დასახელებით.

12.საერთო წესები:

- ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება გახსნის ცერემონიალზე;

- გასაჩივრებისთვის მონაწილე გუნდის კაპიტანი ვალდებულია წერილობით მიმართოს სააპელაციო კომიტეტს ტურის დამთავრებიდან 15 წუთის ვადაში; წერილობით განაცხადს თან უნდა ერთვოდეს განაცხადის განსახილველად ორგანიზატორის საბანკო ანგარიშზე გადახდილი ქვითარი 100 (ასი) ლარის ოდენობით;
- პროტესტი განხილული უნდა იყოს სააპელაციო კომიტეტის მიერ გასაჩივრებიდან 15 წუთის განმავლობაში;
- ჩემპიონატის ორგანიზატორს, საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვს ტურნირის დებულებაში და დანართში ცვლილებები შეიტანოს.

საორგანიზაციო კომიტეტი :

სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური საჭადრაკო კლუბი;
გიორგი გიორგაძე ტელ : 599 56 17 67, E-mail: chess@sportuni.ge
Facebook გვერდი: www.facebook.com/sportunigeorgia